საქართველოს სსრ სახალხო პოეტის

გიორგი ლეონიძის დაბადების 60 წლისთავი

★ ★

ჩვენი იუბილარი

ჩვენ ვზეიმობთ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც არის დაბადებიდან სამოცი წლისთავი გამოჩენილი პოეტის, მეცნიერი მკვლევარის, ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გიორგი ლეონიძისა.

გ. ლეონიძე არის სიამაყე ქართული პოეზიისა. ის, ერთგული შვილი თავისი ლამაზი ქვეყნისა, მისი „ლამაზი მიწის მკოცნელი", დაუცხრომლად უმღერის წინაპართა სისხლით გაჟღენთილ მიწას, მის მსუყე ბარაქას, რომელსაც ეხვად გვაცნობებს თავის სურნელოვან ლექსებში. ერთ ლექსში („მუხის ფოთოლი") პოეტი ამბობს: „ვთქვი სიტყვა, ქართლის შესამკობარო". მას არა მარტო „ქართლის შესამკობარი" სიტყვა უთქვამს — „შენს თვითეულ ხეს, ბალახის ღეროს ვკოცნი, ეეხვეი, ვეტყვი: მიყვარხარ", — ასე მიმართავს ის სამშობლოს.

რომელი კუთხე, რომელი მთა ან ველი, რომელი მდინარე თავისი ქვეყნისა არ აულაპარაკებია მას? რომელი ამბავი თავისი სამშობლოს წარსულიდან, სამხიარულო იქნებოდა ის თუ სამგლოვიარო, მელოდიურად არ გადმოუცია მას? რომელ მოვლენას განახლებული თავის სამშობლოსას არ აუტოკებია მისი გული?

პოეტური სიტყვა გ. ლეონიძისა ისე ამოუწურავია, როგორც განუზომელია მისი სიყვარული სამშობლოსადმი. ამაზე ამ დღეებში არა ერთი და ორი სტროფონი და ნარკვევი დაიწერება, თუმცა მისი პოეტური ნიჭის სიღრმეს სავსებით ჯერ ვერავინ ჩასწვდება. და ეს არც გასაკვირველია, მას ხომ ჯერ არ დაუსრულებია თავისი შემოქმედებითი ისპარეზი, რამდენ მარგალიტს ამოიღებს ის კიდევ თავისი მდიდარი საუნჯიდან?

ჩვენთვის, მეცნიერ მუშაკთათვის, არანაკლებ საინტერესოა მეორე მხარე გ. ლეონიძის მოღვაწეობისა. მის პიროვნებაში ერთმანეთს შეხვდნენ დიდი პოეტი და გამოჩენილი მკვლევარი, რომელიც დღეს ამშვენებს მეცნიერებათა აკადემიის რიგებს და მეთაურობს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტს. თავის სამშობლოს ის უმღერის არა მარტო მომაჯადოებელი ლექსებით, არამედ დინჯი მკვლევარის კალმითაც. არ არის თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი ქვეყნის წარსულისა, რომელსაც ის ისტორიკოსის თვალით არ შეხებოდეს. მის სქელტანიან გამოკვლევებში თუ უამრავ საგაზეთო და საჟურნალო წერილებში ის დაუღალავად ეძიებს გადასული ცხოვრების „სიმართლეს", ეტრფის რაინდულად მოქნეულ ხმალს და ბრძნულად მოსმულ კალამს. ჩვენთვის დაუფასებელია იუბილარის „ძიებანი" ლიტერატურის ისტორიის, როგორც ძველის, ისე ახლის დარგში. უახლესი, საბჭოთა ლიტერატურა ხომ თვითონ არის!

რამდენი ახალი ცნობა და ხელნაწერი მოგვიპოვა მან ჩვენი ძველი ლიტერატურის ისტორიიდან, რამდენი მნიშვნელოვანი პრობლემა წამოაყენა მან თავის კაპიტალურ გამოკვლევებში, რომლებშიც გაცოცხლებულია მამუკა ბარათაშვილი, იოსებ თბილელი, სულხან-საბა ორბელიანი, შაქნაზარი, ბესიკი, დავით გურამიშვილი, საიათ-ნოვა და სხვ.?! არას ვამბობ მისი მუშაობის შესახებ საგანგებო რუსთველოლოგიის დარგში: ნარკვევების გარდა ის აქ მის მიერ მოპოვებულ პოემის უძველეს ნუსხებსაც კი გვთავაზობს. მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეში მარტო ის კი არ არის დასაფასებელი, თუ რა დადებითი შედეგი მიიღო მკვლევარმა, არამედ ისიც, რამდენად დაინტერესა მან სხვა მკვლევარი და რამდენად წარმართა ის შემდგომი კვლევისათვის. ამ მხრივ გ. ლეონიძის საქმიანობა დაუფასებელია, რადგანაც ის მუდამ აღვიძებს მეცნიერულ აზრს და ეწევა წინ.

ასეთია ზოგად ხაზებში პოეტური და მეცნიერული პროფილი დღეანდელი ჩვენი იუბილარისა. დღეგრძელობა, სიცოცხლე და ყველა კარგ საქმესა და წამოწყებაში გამარჯვება ჩვენს სახელოვან მგოსანს.

კორნელი კეკელიძე.